№ 226 ოქტომბერი 25, ოთხშაბათი 1889 ოქტომბერი 25, ოთხშაბათი № 226

| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 . . . | 10 — | 6 . . . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . . . | 2 75 |
| 7 . . . | 7 65 | 1 . . . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარაიცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიასსა თავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

სასწავლებელი და პანსიონი

ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, გარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

(15—3)

## ახალი ამბავი

*** კავკასიის სამეურნეო გამოფენის ექსპონენტს ბ-ნს მაერს, რომელსაც გამოფენილი ჰქონდა ფქვილი, 19 პატარა ტომარა (თითო თითო ფუთი და ათი გირვანქა) შეუწირავს იმპერატორ ალექსანდრე II-ს სახელობაზე დაარსებულ ყმაწვილების თავ-შესაფარისათვის.

*** კავკასიის სამეურნეო გამოფენაში ამ თთვის 23-დე შესულა სულ 23,119 მანეთი და 82 კაპ. დანახარჯია გამართვიდგან ამ თთვის 23-მდე ხუთი ათას ოთხას თუმნამდე.

*** გუშინ, ამ თთვის 23, პოლიციის მოხელემ ბ-მა დმუშევსკიმ იპოვნა რამდენისამე თუმნის წიგნი, რომელიც ამ თთვის ნახევარში მოუპარავთ ბეითალის ბ-ნ მეშჩერსკის ბიბლიოთეკიდამ. ამ მოპარულ წიგნების გამყიდველის შეპყრობა უნდოდა პოლიციას, მაგრამ რადგანაც სთქვა, რომ გაპოვნინებთ, ვინც მე მომყიდა ეგ წიგნებიო, ამიტომ პოლიციამ გაანთავისუფლა დროებით.

*** შაბათს, ამ თთვის 21, და ორშაბათს, 23 ოქტომბერს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში იყო კრება სამეურნეო გამოფენის უმთავრესს ექსპერტების კომისიისა. კომისიას კრებაზე დაუნიშნავს ექსპონენტებისთვის ჯილდო და საჩუქრები. საჩუქრებს და ჯილდოებს გამოფენის ექსპონენტებს დაურიგებენ სასახლეში გამოფენის გათავების შემდეგ.

*** მოსკოვში გამოვიდა მეორე წიგნი „ეტნოგრაფიულ მიმოხილვისა“, რომელშიაც მოქცეულია საყურადღებო წერილი პროფ. მილლერისა „Иранскіе отголоски на Кавказѣ“. ავტორს აქვს აზრად დაამტკიცოს, რომ ირანული გმირული მოთხრობანი როსტომისა და ბეჟანის შესახებ გავრცელდა კავკასიაში და შემდეგ ევროპაში გადავიდა საქართველოს შუამავლობითაო. დასახელებულს წერილში პატივცემული პროფესორი ადარებს ერთმანეთს ფშაურს, სვანურსა და ოსურს თქმულებას და პოეტ ფირდოუსის გადმონაცემს შესახებ როსტომისა და ბეჟანისა. შემდეგ შინაარსის მსგავსებით ამტკიცებს, რამდენად ცოცხლად დარჩენილა ირანული გადმონაცემი კავკასიაში. ავტორი მოუწოდებს ქართულის ლიტერატურის მცოდნეებს გამოარკვიონ შემდეგი: ირანელ გმირების შესახებ თქმულებანი კავკასიაში ქართულის ლიტერატურის ზედ-გავლენით გავრცელებულა, თუ ზეპირ-გადმოცემულიაო. დიდს მნიშვნელობას აძლევს პროფესორი ჩვენ ხელ-ნაწერ მოთხრობებს და პოემებს ამ საინტერესო საგნის გასარკვევად. ამავე წიგნში დაბეჭდილია წერილი ხახანაშვილისა „თუშებზედ“ და „შენიშვნა“: „სპარსული ეპიკური თხზულებანი ქართულს ენაზედ.“

*** გუშინ-წინ ღამ ჩამოვიდა ტფილისში ბ-ნ ფორკატის მიერ პეტერბურგიდგან დაბარებული ახალი ტენორი ბ-ნი კლემენტიევი. ეს არტისტი პირველად ხვალ, 26 ოქტომბერს, მიიღებს მონაწილეობას ოპერეტს „პალერმოელს მომღერალში“.

*** გორი: დღეს ჩვენში ახალი ამბავი ავაზაკის ხანიკაშვილის დაჭერაა. ეს ის ხანიკაშვილია, რომელიც ერია ფოსტის გაძარცვაში კავკავის გზაზედ ანანურს იქით. როგორც მკითხველმა იცის, ამისი ამხანაგები მაშინვე დაიჭირეს და მხოლოდ ხანიკაშვილი გაუძვრათ ხელიდგან. ეს ხანიკაშვილი განთქმულია თავისის სიმარდით, შეუპოვრობითა და თოფის მსროლელობით. რაკი გაიქცა, ყველა იმ აზრისა იყო, რომ ველარ მოიგდებდნენ ცოცხალს ხელში, მაგრამ ბედმა უმუხთლა და დღეს ხელში ჩაუვარდათ. ხანიკაშვილის ჭერივიდამ გაქცევა, ძალიან გასაკვირველი იყო, ამიტომ-რომ ისეთს ხევში გადამხტარა, სადაც მხოლოდ ჩიტი თუ ჩაფრინდებოდა. მაგრამ იმის ჭერივიდამ გაქცევას ხალხი აბრალებს სხვა-და-სხვა გარემოებას. გაიქცა თუ არა ავაზაკი, მაშინვე კვალში ჩაუდგა მას გორის მაზრის ურიადნიკი და იუნკერი იასე გაზაშვილი, რომელიც თავისის გულადობითა და ვაჟკაცობით სახელ-განთქმულია ქართლში და რომელსაც ბევრჯელ შეუპყრია ავაზაკები. მაგრამ საქმე დაგვიანდა. ამასობაში გამოგზავნილ იქმნა ტფილისის მაზრის უფროსი ბ-ნი ჯანდიერი, რომელსაც მიეცა სრული ნება ყოველნაირის განკარგულების მოხდენისა. ბ-ნმა ჯანდიერმა მაშინვე ენერგიულად მოჰკიდა საქმეს ხელი. დაატყვევა ნათესავები და მცნობნი ხანიკაშვილისა და ამ გვარად მოუსპო მას მყუდრო ბინა; მეტი ღონე არა ჰქონდა, ტყე-ღრეებში უნდა ეხეტიალნა ნადირთა თანა. ამასთანავე ბ-ნმა ჯანდიერმა განკარგულება მოახდინა გზები შეეკრათ და განუწყვეტლივ ეძებნათ. ხანიკაშვილი მალე წააწყდა მდევრებს. იასე გაზაშვილმა მოიმწყვდია იგი ერთს ტყე-ღრეში სოფ. როკისაკენ, ჯავის ხეობაში. დაუპირდაპირდნენ თუ არა ერთმანეთს, ხანიკაშვილმა თოფი გადმოიგდო სასროლად, მაგრამ გაზაშვილმა დაასწრო სროლა, ტყვია დასცა ავაზაკს და გარეულ ნადირსავით დაეშვა ხევში კლდეებზედ, მაგრამ გასავალი გზები შეუკრეს. გაზაშვილი დასდევნებია ხევში, მაგრამ დაცემულა და გვერდი ისე უტკენია, რომ კარგა ხანს ვერ ამდგარა. აქედამ უყვირნია თავის ჩაფრებისათვის: გაფრთხილდით, არ გაუშვათ, აგერ ფიჩხნარში იმალებაო. გაზაშვილი ამოსულა ზემოდ, მართლა ფიჩხის ქალაში დაუნახავთ ავაზაკი და წასულან იმისაკენ. ავაზაკს თოფი აღარ ჰქონიყო ხელთ, რადგან ჩამოსწყვეტიყო ხევში გადახტომის დროს. გ—ს შეეტივნა, იმასაც ხანჯალი მაშინვე აეხსნა და გადაეცა. გ—მა სთქვა: თავისივე ყაბალახით გაუკარ ხელი, ჩაიყვენეთ შუაში და წამოიყვანეთო. თვით გაზაშვილს მიუწერია გუბერნატორისათვის დეპეშა, რომ ავაზაკი მე დავატყვევეო. ამისთანა საქმისათვის ბ ნი გ—ი წაქეზებისა და ჯილდოს ღირსია, იმიტომ-რომ ხანიკაშვილი რომ დროზედ არ დაეჭირათ, ქართლს სწო-

## ფელეტონი

### ძველი და ახალი თაობა

და

მათ გამო ლაპარაკი ჩვენში.

IV

წინა წერილში მხოლოდ თითო-ოროლა საბუთი დავასახელეთ, მაგრამ იმითიც საკმაოდ ცხადადა სჩანს, რომ დრო, რომელშიაც ცხოვრობს ერთი თუ მეორე საზოგადო მოღვაწე, უძლიერესს ფერსა სდებს არა თუ მარტო მთელს იმის მოღვაწეობას, ასე გასინჯეთ, თვით იმის საკუთარს ხასიათსაც-კი. ეს კიდევ არაფერი. ზოგიერთი დრო, ეპოქა თითქო ჰბადავს კიდეც თავისთვის საჭირო კაცსაო; ჰბადავს მით, რომ იწვევს სააspარეზოდ ბრძოლისათვის საჭირო მხნეობასა და სიმტკიცეს. ამისთანა დროს, თითქო ქვეყანას აქამდე სთვლემდა და ახლა გამოფხიზლდაო, თავს იჩენს ახალი მანამდე მიძინებული და მიბინარებული ძალ-ღონე და უცბად, თითქო მოულოდნელად, გამოდიან მოედანზედ ახალნი ნიჭიერნი და მებრძოლნი კაცნი, რომელთაც წინა დღით თითქო ვერავინა ჰხედავდა, ვერავინ ამჩნევდა. მართლა მოულოდნელობა-კი არავის უნდა ეგონოს. თუ მართლა თვით საზოგადოების გულსა და სულში, იმის წიაღში არა ლვივის საკმაო ნალვერდალი ჭკუა-გონებისა, თუ არ არის რამდენიმე ძლიერის ნიჭის პატრონი, მტკიცე ხასიათის კაცი, ვერავითარი დრო და ეპოქა, რაც უნდა დიდი და დიდებული იყოს (ან საიდამ იქნება დიდი უამისოდ!), თითონ ვერ შეჰქმნის, ვერ გააჩენს ამ ძალ-ღონის კაცებს. დროს შეუძლიან მხოლოდ მიძინებული მღვიძარედ გადააქციოს, შეუძლიან ნიშნობლივი ფერი მისცეს საზოგადო მოღვაწეთა საქმიანობას, შეუძლიან გააჩინოს ან ერთი და ან მეორე მიმართულება, შეუძლიან წაახალისოს და შთაბეროს სიო ახალის ცხოვრებისა ხანგრძლივის ლოდინით გულ-გადალეულს კაცსა.

აი სწორედ ამაზედ ამბობენ, რომ ისტორიამ იმოქმედა, აიყოლია და გამოიყენა თითოეულის კაცის ძალ-ღონე იმ საზოგადო საქმეების გასაკეთებლად, რომელიც გააჩინა, წინ წამოაყენა და თავზე მოიგდო ცხოვრების მორევმა და იმისმა ტრიალმაო. ეს ხომ ასეა, მაგრამ არც ის არის ეჭვს გარეშე, რომ ისტორიის ზედმოქმედება ერთიანი კრებულია თითოეულის კაცის ცალკე ღონისა და უღონობისა და სხვა არა-რა. ამ მხრით თითოეულს კაცს დიდი და პატიოსანი საქმე აქვს წილ-ხდომილი ისტორიაში: კაცს შეუძლიან ისტორიას დაეხმაროს, ხარიხები მოაშოროს და სიარული გაუადვილოს, შეუძლიან გაასწოროს გამრუდებული სვლა ისტორიისა, იქით მიჰმართოს გზა მისი, საითაც უკეთესია და სასურველი. ბოლოსა და ბოლოს საზოგადო ანგარიშს არა აკლდება-რა, ამაოდ არა იკარგება-რა: არც ისა, თუ ვინმე მხნედ და მღვიძარებით ჩაერია ამ წუთი-სოფლის საქმეებში, არც ისა, თუ ვინმე სულითა და ხორცით მოშვებულმა თავი მოარიდა მამულიშვილობის მოვალეობას. ერთიცა და მეორეც, მოქმედებაცა და არ-მოქმედებაც, ღონეცა და უღონობაც აუცილებლად დაეტყობა საზოგადო მდინარეობას ცხოვრებისას და ამ სახით თითოეულს კაცს ცალკე დააჩნდება ზოგადი ხასიათი ისტორიის ზედმოქმედებისა იმისდა მიხედვით, რა უფრო ჰარბად არის საზოგადოებაში, მოქმედება, თუ უქმობა, ღონე, თუ უღონობა. რაიცა შეეხება საკუთრივ ამ ზედ-მოქმედებას ისტორიისას, იგი იმდენად ძლიერი და აუცილებელია, რომ მისის მიზეზით ქვეყნის ძალ-ღონე და თითოეულის ნიჭიერება ხან გაიშლება და ჰყვავის ვარდივით, ხან, პირ-იქით, ისუსხება, ჰკნება და ხმება კიდეც სრულიად ამ გაშლა-აყვავებასაცა და დაჭკნობა-გახმობასაც მოარულივით გადამდები თვისება აქვს. თუ ფრთა-გაშლილი მოძრაობა, რომელსაც ჩვეულებრივ თან მოსდევს ძლიერი სიფხიზლე-მღვიძარება და გამოცოცხლება, აჩენს და თითქო ჰბადავს ძლიერს სამეთაურო და სამესვეურო კაცებს, სამაგიეროდ ჟამსა მიყრუებისასა და მოუძლურებისას, როცა ტყვიასავით მძიმე დრო მაჯლაჯუნასავით აწევს ქვეყანას, თითქო უნდა დაარჩოს და სული ამოჰხუთოსო, თითქო უნდა ამოჰგლიჯოს გულიდამ, თუ რამ სურვილი დარჩენია უკეთესის მერმისისაო, როცა ისეთი შავი და ბნელი დროა, რომ ასეთი სურვილი მასხარაობად მიაჩნია ერის სიმრავლესა, ანუ სუსტსა, შემდრკალსა და უფრო-კი ანგაარებით შეპყრობილს, — ამისთანა შავსა და უკუღმართს დროს არამც თუ ძნელია ახალმა ნიჭმა თავი იჩინოს, არამედ, ქვეყნის საუბედუროდა და სავალალოდ, ჰქრებიან და მცხრალ მთვარესავით ილევიან ისინიც-კი, ვინც წინად იყვნენ და კაშკაში გაჰქონდათ...

ცხოველი მაგალითი ამისა თვალწინა გვაქვს. რუსეთი, რომელმაც უკვე გემო გაიგო სამოციანის წლებისა და, ცოტა არ იყოს, პირი ჩაიმტკბარუნა სამოც-და-ათიანებითაც, ეხლა, სამწუხაროდ, ოთხმოციანებსაც ჰხედავს. ვერავითარი სიტყვა ისე კარგად ვერ აღნიშნავს ნიშნობლივს ვითარებას ეხლანდელის დროისას, როგორც სიტყვა გათახსირება („оскудѣніе“). ამ ყოფამ უნუგეშობითა და სასოწარკვეთილებით ამოაკვნესა გული რუსეთის დიდებულის მწერლისა: „ეხედავ ნაცრის ფერს ცას, ნაცრის ფერს სიგძე-სიგანეს, ავსებულს ნაცრის ფერისავე ლანდითა და მოჩვენებითაო, სწერს სალტიკოვი, უკვე ცალის ფეხით სამარეში ჩამდგარი: ნაცრის ფერად მოცული ჭაობია და შიგ ირევიან და ფუსფუსებენ ნაცრის ფერივე ქვემძრომნი და ჭია-ღუები; ნაცრის ფერს ჰაერში ხმა-ამოუღებლივ, უძრავად ქანქარებენ ნაცრის ფერი ფრინველნი; გზაც-კი ისეთია, თითქო ნაცარი მოუყრიათო. გული სწუხს, იწვის უცნაურის, უზომო სევდისაგან. გულს ამძიმებს, აძმარებს ეს ნაცარი და ნაცრის ფერი. უფრო იწვის, უფრო იდაგება გული, რომ გარშემო ყოველსავე ხმა გაუკმენდია და მდუმარებს. არსაიდამ ხმა, არსაიდამ ჩამი-ჩუმი... სხვა არა-რაა, მარტო ნიშნები-ღაა წაწყმედისა!.. რაც უფრო შიგ შედის კაცი ამ გზა-დაბნეულს უდაბნოში, მით უმეტესად თრთის და ჰგრძნობს გონების დამხშობელს უიმედობას, რომელსაც ყოველივე გაუქვავებია და დაუმუნჯებია გარშემო... ყველაფერი გადამხმარა, ყველაფერი გადამჭკნარა. თანდათან მიცოცავს და გველივით

*) იხ. „ივერია“, № 223.

რედ ხეთაგურის საქმეს დაჰმართებდა. დაჯეშმარიტებით ამბობენ, რომ ხანიკაშვილს მარტო ფოსტის საქმე არ ჰბრალდება და რომ ბლაღოჩინის მღვდლის ლ. ფილიშვილის მკვლელობაშიაც ურევიაო. ვითომ ეს მოესყიდნოთ ფ—ს მტრებს ოც-და-ათ თუმნად და მოეკვლევინებინოთ. როგორც გაზაშვილი ამბობს, ავაზაკმა სთქვაო, რომ ჭერივიდამ გაქცევაში მიზეზს ტყუილადა სდებენ ცხინვალის ბოქაულსა და ჭერივის მღვდელს ქოქოშვილსაო. მე სხვებმა გამაქციესო. ძალიან შესაძლებელია და ჩვენც გვჯერა, რომ ბოქაული აქ არაფერს შუაშია, მაგრამ აქ იმას რომ ვილაცამ ხელი მოუმართა, ამაში ეჭვი არ არის.

⁂ **ქართლი:** ერთის სიტყვით, მთელი ქართლი გაოცებულია ასეთის ადრეულის ზამთრისაგან და ამასთან დაღონებულ-დამწარებულია, რომ დაუთესავ-დაუფარცხავი რჩებათ ანეულები და შემოდგომურები. წარმოიდგინეთ, რომ ამ თთვის ცამეტს დილით ვეებერთელა თოვლი დასდო ქართლში და ყინვები დაიჭირა. ჯერ წინა დღეებში სწვიმდა, ხალხს იამა, რომ ამოდენა ხნის გვალვის შემდეგ მიწა დალბება და დავფარცხავთ ხნულებსაო. მაგრამ თოვლმა და ყინვამ მოასწრო და დაუთესელი დარჩა ნახნავები. ზემო-ქართლში კარგა ბლომად მოსულა თოვლი, ასე რომ კოჭს ჰფარავსო. ამ თოვლს, თუ ღრუბელმა არ დაჰკრა, ველარ აიღებს. ქვემო და შიდა ქართლში-კი მალე აიღო თოვლი, რადგან დარები დაუჭირა, მაგრამ ღამ-ღამე ყინვაა და ხნულები ერთიანად გამოახმო. თუ დაუთესავ-დაუფარცხავი დარჩა წელს ქართლი, ეს ბოლაზი პურის მოსავლისა, მერმისისათვის, სწორედ ვიტყვით, შიმშილობა მოგველის.

⁂ **იქიდგანვე:** კენჭის ყრა ახლად მოწოდებულ ჯარის-კაცთა გასაყვანად დაიწყო ამ თთვის თხუთმეტს. გორში უყარეს კენჭი სულ 362 კაცს. ამ რიცხვიდამ აირჩიეს მხოლოდ ოც-და-ცხრამეტი კაცი. ისეთი დარდი და მწუხრება აღარ ეტყობათ ახალგაზდა ხალხს, როგორც შარშან და შარშან წინ იყო. მხიარულად მიდიოდნენ ყუთთან და იღებდნენ წილს. ამ თთვეშივე შეუდგებიან კენჭის ყრას ცხინვალში, შემდეგ ჯავაში და ბოლოს სურამში.

⁂ **იქიდგანვე:** ამ თთვის 25 იქნება ქართული წარმოდგენა დედათა სასწავლებლის სასარგებლოდაო. აღგენენ ყაზბეგის პიესას: „ცოლი — მეულლე“. წარმოდგენა უნდა გაემართნათ 22, მაგრამ ავმა დარებმა დაუშალა.

⁂ **სოფ. ბრუთი** (კავკავის მაზრა): ლვინობისთვის თოთხმეტსა სოფ. ბრუთში მოხდა შემდეგი კაცის კლაჲ: ბრუთში სოფელი რიგ-რიგით ჰყარაულობს ღამე სოფლის საზღვრებს. 14 ამ თთვეს ჯერისამებრ ჰყარაულობდა სოფელს საბრალო ჩიშიევი. ჩიშიევი დაშორდა თავის ამხანაგებს და ცხენით ამოიარა სოფელში. ამ დროს შემოესმა მტერევა ღობისა, რომელსაც თურმე ქურდები სტეხავდნენ. ჩიშიევმა დაუძახა ქურდებს: ვინა ხართო? ხმა რომ გაიგონეს ქურდებმა, მობრუნდნენ და დაახალეს თოფი ყარაულს. ჩიშიევს თოფის ტყვია შიგ გულში მოხვდა, იქვე ჩამოვარდა ცხენიდგან და განუტევა სული. ქურდების გზა-კვალი ვეღარსად იპოვნეს.

⁂ **გჯგჯგი:** თოთხმეტს ლვინობისთვეს სოფ. არდონში გაროზგეს ორი ოსი, ერთი ყადგარონელი და მეორე დარკოხელი. ყადგარონელს დაარტყეს ას ოც-და-ათი როზგი და დარკოხელს—ას ათი. ამათ გაროზგვის დროს იქ იმყოფებოდა ელადიკავკავის მაზრის უფროსი და განყოფილების უფროსები, აგრეთვე ყველა ბარის-ოსების სოფლების მამასახლისები და ქურდობა-ავაზაკობაში შენიშნულნიცა.

⁂ **სოფ. დარკოხი** (კავკავის მაზრა): თხუთმეტს ამ ლვინობისთვეს, საღამოს, სოფ. დარკოხში მოხდა შემდეგი არა-სასიამოვნო ამბავი: ამავე სოფელში მცხოვრებნი ჯიბილოვი და სოზანოვი რაღაცაზედ შელაპარაკდნენ. შელაპარაკება მწვავე ჩხუბად გადაექცათ და ხანჯლებს მიმართეს. ხანჯლებით ორთავემ ერთმანეთი მძიმედ დასჭრეს, ასე რომ საჭიროდ აღმოჩნდა მაზრის ექიმისთვის ეცნობებინათ. მეორე დღეს ექიმი და გამომძიებელი მოვიდა კავკავიდგან. გამოძიება სწარმოებს.

⁂ **ბარის ოსები:** ბარის ოსებში წელს თუმცა პური ბევრი არ მოუვიდათ, მაგრამ მაინც მერკა (58 გირვანქაა) ხორბალი 80—90 კ., ზევით არ წასულა ჯერ-ჯერობით. რაც შეეხება სიმინდს, სწორედ მოგახსენოთ, ზღვა მოსავალი მოვიდა წელს ბარის ოსებში, ასე რომ ჩასაყრელს ადგილსაც ვერსადა შოულობენ. ამასთანავე მშვენიერი უზადო სიმინდია. სიმინდის მყიდველნი კავკავს თუმცა ძრიელ ბევრი მოაწყდა, ფშავ-ხევსურეთ-მთიულეთ და თვით დუშეთიდგან და რაჭაშიაც ბევრი გადაზიდეს, მამისონის უღელტეხილზე, მაგრამ მაინც ორ აბაზზედ ზევით არა ჰფასობს ჯერ მერკა (56 გირვანქაა) სიმინდი.

⁂ **ბარის ოსები:** თხუთმეტს ამ ლვინობისთვეს ღამე ბარის ოსებში ორ-გოჯამდე თოვლი მოვიდა. თოვა მეორე დღეს, ე. ი. თექვსმეტს, თითქმის საღამომდე არ შეწყვეტილა და თან საშინელი ცივის ყინვის სუსხი მოჰყვა. ამ თოვლმა და ამ სიცივემ ბარის ოსები ძრიელ შეაფიქრიანა. შიშობენ, ვაი თუ შარშანდლისთანა ზამთარი დაგვიდგეს წელსაცაო.

⁂ **სოფ. ზათაყოყაუ:** (კავკავის მაზრა): ამ ლვინობისთვის 20 სოფელ ზათაყოყაველი უვიქიყო დაურიოვი იმსხვერპლეს ქურდებმა. საქმე ასე იყო: საბრალო უვიქიყო დაურიოვი პურის გასალეწად წავიდა ქიშტების სოფლებისკენ. 20 ამ თთვეს ღამე საბრალოს ქურდები მიეპარნენ ცხენების მოსაპარად, უვიქიყომ თურმე უცბად გაიღვიძა და წამოხტა ზეზედ. შეუბრალებელმა ქურდებმა იქით-აქედგან დაახალეს თოფები და იქვე გამოასალმეს წუთი-სოფელს. გამოძიება სწარმოებს.

⁂ 23 ოქტომბერს, პოლიციის მეორე ნაწილში, ნადვორნი სოვეტნიკის ქვრივს სოფრონოვისათვის მოუპარავთ მის საკუთარის სახლიდამ ოქროს საათი, ვერცხლის კოვზი, კალმის დანა და სხვა ნივთები, სულ 80 მანეთისა. გუმანი აულია მოსამსახურე სოლოვზე, რომელიც გაპარულა, მაგრამ პოლიციას იქვე დაუჭერია. გამოძიება სწარმოებს.

⁂ 23 ოქტომბერს მკურნალმა მრევლიშვილმა და მეცხრე ნაწილის ბოქაულმა გასინჯეს ეზოები, საჯინიბო-ბოსლები და ფეხის-ადგილები მეცხრე ნაწილის მცხოვრებთა და ჰპოვეს, რომ ჯან-მრთელობისათვის მავნებელი არ არის-რა.

⁂ 23 ოქტომბერსვე, გარეთუბანში, ყორღანაშვილის სახლებში, ბაგრატიონის ქუჩაზე, ბარბარე ენფიანჯიანცის სადგომის ფანჯრის შუშა გაუტეხნიათ და გაუტანიათ 2 მან. 50 კაპ. ფულად, საცვლები და ჭურჭელი 42 მან. 50 კაპ. დამნაშავე ტფილისის მოქალაქე გიორგი თარალაშვილი ნაქურდალიანურთ შეიპყრო პოლიციელმა.

## ქალაქის საბჭო

23 ოქტომბერს ქალაქის საბჭოს მოხსენდა წინადადება გამგეობისა იმის შესახებ, თუ როგორი წესი უნდა იქმნას შემოღებული ხარჯის გაწერისა ცხენებზე. აქამდე ქალაქი ჰკრებდა ხარჯს ცხენებზე ცალკე და ეტლებზე ცალკე. ეხლა შინაგან საქმეთა და საფინანსო სამინისტროებმა დაადგინეს, რომ მომავალ წლიდამ ეტლების გადასახადი მოისპოს და დარჩეს მხოლოდ ცხენის ხარჯი, იმ პირობით-კი, რომ თითო ცხენს გადახდეს არა უმეტეს ერთის თუმნისაო. დღემდე ქალაქს ეტლისა და ცხენის ხარჯის ფული შემოსდიოდა წელიწადში 19,000 მანეთამდე. ამასთანავე ხარჯისაგან განთავისუფლებული იყო 450 ცხენამდე— ფოსტის ცხენები, ცირკისა, წყლის „ბოჩკის“ ცხენები, მეხანძირეთა ჯორცხენები, თულუხისა და ზოგი საშინაო ცხენები. ახალის კანონით აღარც ეს ცხენები იქნება თავისუფალი ხარჯისაგან. ორთა შუა რიცხვით, ხარჯის გადამხდელი წელიწადში ეყოლება ქალაქს თითქმის 2,900 ცალი ცხენი. ქალაქს რომ არ დააკლდეს შემოსავალი, შესაძლოა წელიწადში ყველა თითო ცხენზე დააწესოს 7 მანათი გადასახადი, მაგრამ ერთ ნაირის ხარჯის შეწერა უსამართლობა იქნებოდა მათ მიმართ, ვინც დღეს ნაკლებს იხდის ამ საქმეში. მაგალითად, აქამომდე სულ ხუთი მანათი იყო საშინაო ცხენის ხარჯი და რისთვის უნდა მიემატოთ ორი მანათი, როდესაც მომატებულს ვერ აუდგენს პატრონს ცხენის შემოსავალი. ერთს თუმანს ახდევინებენ შინაურ ეკიპაჟის ცხენზე და რად უნდა ჩამოახდევინონ ეს ხარჯი, როდესაც ეკიპაჟის პატრონები კელავინდელს გარემოებაში რჩებიან. მრავალ ამისთანა მოსაზრების შემდეგ ქალაქის გამგეობას ვერ გაუერთიანებია ეს გადასახადი და სამს ხარისხზე დაუყვია ცხენები: პირველი ხარისხი იხდის 10 მან., მეორე—8 მან., მესამე—5 მან. პირველ ხარისხში მოჰყვება საშინაო ეკიპაჟის ცხენი, ფაიტონისა, „დროჟკისა და ფოსტისა“. მეორეში—„პოვოსკისა“, ფურგუნისა და ბოჩკისა. მესამეში—ყველა დანარჩენი გვარი ცხენი თუ ჯორ ცხენი. „ფაიტონისა“ და „დროჟკის“ ცხენში აქამდე იხდიდნენ წელიწადში სამ-სამ მანათს, მაგრამ ამასთანავე თვით ფაიტონისა და დროჟკის ბილეთი ღირდა 15 მანათი. დღეის იქით ფაიტონის ბილეთი აღარ დასჭირდებათ, რადგან მარტო ცხენის ხარჯს შეაწერს ქალაქი. ამასთან ვისაც ერთის ფაიტონისათვის სამი ცხენი ეყოლება, იმას მესამე ცხენისას

---

მიძრება გულში გრძნობა გათახსირებისა. და აი ვგრძნობ, რომ მოდის დრო, როცა ყოველივე ჩემი გრძნობა, ჩემი გული, არსებაც გაქვავდება, გაშეშდება“...

ეს საშინელი სურათი, დახატული შესანიშნავის მწერლის ხელოვანის კალმით, იმიტომ-კი არ მოვიყვანე, რომ დავანახვო მკითხველს ეხლანდელი ყოფა და არც იმიტომ-კი არა, რომ განვუმარტო, როგორ სწვავს ასეთი ყოფა, უკეთესთა კაცთა გონებასა და გრძნობას. ამას გარდა, ფიქრად მქონდა აღმენიშნა ერთი ცხადი გარემოება, რომელსაც ჩვენ მეტად ადვილადა და ხშირად მივივიწყებთ ხოლმე, სახელდობრ ის გარემოება, რომ ეს უცნაური ჟანლი და ბურუსი სხვისა ცოტად თუ ბევრად ჩვენს საკუთარს ცხოვრებასაც აჩრდილებს და აბნელებს.

არ ვიცით, ვინ როგორა და რას ჰფიქრობს იმ გონებრივისა და ზნეობრივის კავშირის შესახებ, რომელიც არსებობს ჩვენსა და რუსეთის საზოგადოებას შორის, ხოლო საკუთრად ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებული, რომ რუსეთის ცხოვრების კულტურული ზედ-მოქმედება ჩვენსაზე მეტად დიდია და აუცილებელი, ისე დიდია და აუცილებელი, რომ მცირეოდენი ცვლილებაც-კი რუსეთის მოთავე და თაოსან საზოგადოების ყოფა-მდგომარეობისა დაუყოვნებლივ სცვლის როგორც ჩვენის ინტელიგენციის ფერსა და იერს, ისე ჩვენ საზოგადოებურ საქმეთა მიმართულებასაც.

საჭირო არ არის, რომ ამ აზრის დასამტკიცებლად მრავალი მაგალითი ჩამოვთვალოთ. დავასახელებთ — მხოლოდ გახსენებისათვის—იმ ყველასაგან ცნობილს გარემოებას, რომ რეფორმების დროს რუსეთის სახელმწიფო ცხოვრებისამ სამოციან წლების დამდეგს პატარა ხანს უკან ჩვენც ბევრ გვარი ცვლილება მოგვიტანა და ბევრი რამ შესცვალა არსებითად ჩვენს საერო და სამოქალაქო ცხოვრებაში. არა-ნაკლებ ცნობილია ყველასაგან ის გარემოებაც, რომ წარსულის მეფობის დასასრულს, როცა ისე შესამჩნევად გამოფხიზლდა რუსეთის საზოგადოება და ლიტერატურა, როცა გაჩნდა დიდი პროექტები და პლანები, როცა დაიბადა მოუთმენელი და ძლიერი ლოდინი რუსეთის ცხოვრების შეცვლისა ძირეულად და არსებითად, ჩვენც მაშინვე თითქო გონს მოვედით. მაშინ ჩვენმა მიძინებულმა და გულ-ხელ-დაკრეფილმა საზოგადოებამაც იგრძნო თავისი მოვალეობა, თავისი კაცადი კაცობა და როგორც იყო გაჰბედა პირდაპირ და უშიშრად დაჰკვირვებოდა თავის ყოფა-ცხოვრებას. ასეთი გამობრუნება საზოგადოებისა კიდევ მაშინვე დაეტყო ჩვენს მწერლობასაც და უცბად წელში გაიმართა, შეიბერტყა ფრთები, გამოცოცხლდა. ვის არ ახსოვს ჩვენში ის კარგი და იმედიანი დრო? ასე გასინჯეთ, თვით ჩვენც-კი, თუმცა ძალიან დაშორებული ვიყავით მშობელს ქვეყანასა და იმის საქმეებს და მხოლოდ თითო-ოროლა გაზეთის ნაწყვეტით თუ შევქძლო ყური გვეგდო საზოგადო ცხოვრების მაჯის ცემისათვის, ჩვენც-კი დიდის ხნით გამოუცდელს აღტაცებასა ვგრძნობდით. მაგრამ ვაი რომ ისე ამაო და ადრეული გამოდგა ჩვენი იმედი და სასოება!.. მალე და ძალიან მალეც ჩვენი ქვეყანა კვლავ მოიცვა წინანდელმა ნაცნობმა მდუმარებამ და მცირეს ხნის აღფრთოვანება სულისა კვლავ შესცვალა უმოძრაობამ, თავ-მოყვარეობამ და გონებრივმა სიდამბლემ!..

განა ცხადი არ არის ყველასათვის, ვინც-კი ერთხელვე აჩემებულს აზრს არ ადგია, რომ ამ წალმა-უკუღმა ტრიალს ჩვენის ცხოვრებისას, ამ აღფრთოვანებასა და ფრთების ჩამოყრას სათავე რუსეთში აქვს, რადგანაც რუსეთის ცხოვრების ცვლილება მაშინვე ზედ დაეტყობა ხოლმე ჩვენსასაცა? ეს იგივეობა და ერთ-ხანიანობა ცვლილებისა და მხარ-და-მხარ სვლა განა აუცილებლად არ აფიქრებინებს კაცს, რომ მათი დამბადებელი მიზეზიც, მათი გამჩენი საბუთიც ერთი და იგივე უნდა იყოს? ნუ გავარკვევთ იმას, კარგია თუ ავი, რომ ასე სხვის წაბაძვითა და წანედულობითა ვცხოვრობთ, რომ სხვის ნათელი გვინათებს და სხვისი სითბო გვათბობს, რომ ჩვენც ფეხს ავიდგამთ ხოლმე მარტო მაშინ, როცა სხვა დაიწყებს სიარულსა. კარგია თუ ავია, საქმე, უეჭველია, ასეა. ხოლო რაკი ასეა საქმე, ისიც უნდა ვიცოდეთ, რა მოსდევს და რა აუცილებელი შედეგი აქვს ამისთანა ამბავს. უნდა ვიცოდეთ გაბედვით თვალი თვალს გავუყაროთ და განზრახ არ დავამციროთ მისი მნიშვნელობა. გარჯა და მუშაობა მერმისისათვის მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, მაშინ მოიტანს ნაყოფს, როცა უპირველეს ყოვლისა აწმყოს ნიადაგს არა შორდება და ამ ნიადაგზე აქვს ფეხი მომაგრებული: არ შეიძლება, რაც უნდა ვეცადნეთ, ხიდი გავდოთ მერმისსა და ნამყოს შორის და ამასთანავე გზა ავუქციოთ აწმყოს. ათასიც რომ სამწუხარო და უნუგეშო იყოს აწინდელი ვითარება და ყოფა-ცხოვრება, მაინც უნდა ვეცადნეთ, ის ლალა მოვაცემინოთ და ის სარგებლობა მოვაღებინოთ, რის მოცემა და მოღებაც-კი შეუძლიან. რაკი ერთხელ და ერთხელ ბედი ჩვენის ქვეყნისა და ბედი რუსეთის საზოგადოებისა ასე დამოკიდებულია ერთმანეთზე, რაკი რუსეთის ცხოვრების ვითარება და მიმართულება ასე აუცილებლად ცოტად თუ ბევრად ზედ-მოქმედობს ჩვენში, ცხადად არ არის განა, რომ კულტურულს წარმატებას რუსეთისას ბეჯითად თვალი უნდა ვადევნოთ და გულ-ხელ დაკრეფით არ უნდა შევსცქეროდეთ. პირ-იქით, ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა ფხიზლად და თვალ-გაფაციცებით ვადევნებდეთ თვალ-ყურს და ვიძიებდეთ რუსეთის ცხოვრების ვითარებასა და, შეძლებისა დაგვარად, ჩვენც ხელს ვუმართავდეთ რუსეთში, და მით ჩვენშიაც, კეთილის ზნეობისა და უკეთესის ცხოვრების დამყარებას.

ხოლო ვინ არ იცის, რომ ჩვენ, არამც თუ ამას, იმასაც-კი არა ვცდილვართ, რომ რუსეთის საზოგადოებას, ჩვენის შემწეობით, გაეცნო ჩვენი კულტურული და ზნეობრივი ვინაობა. მაგრამ ეს კიდევ ისე მძიმე ცოდვა არ არის, რადგან ეს ცოდვა იქნება უნებურიც იყოს. ჩვენ სხვა უფრო მძიმე ცოდვა მიგვიძღვის: ეს ის ცოდვაა, რომ ჩვენ თითქო განგებ, ხან ნებსით და ხან უნებლიედ, ვცდილობთ გვერდი ავუქციოთ, უყურადღებოდ დავტოვოთ რუსეთის ცხოვრება, ვერიდებით და გვეუცხოვება რუსეთის ინტელიგენცია და ვივიწყებთ, რა მძიმე და სამწუხარო შედეგი მოსდევს ასეთს ქცევასა და მოქმედებას.

გ. მაიაშვილი

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტო ხუთს მანეთს გამოართმევენ. ქალაქი შეადგენს ხარჯის წიგნებს, გააკეთებს სიებს და პატრონებს დაურიგებს განცხადებებს, რომ ამა-და-ამ დროისთვის შეიტანონ ფული, თორემ დარჩენილ გადასახადზე ჯარიმას გამოართმევენ.

ქალაქის საბჭო დასთანხმდა გამგეობის წინადადებაზედ და დაადგინა ეს წესი შეატყობინოს ტფილისის მცხოვრებთ გაზეთებით.

მეორე საგანი კრებისა იყო წინადადება ბ-ნ მ. ი. თამამშევისა, რომელიც სთხოვდა საბჭოს: რადგან დათხოვნილი ვარ ხმოსნობისაგან, გთხოვთ განმათავისუფლოთ საურთიერთო დამზღვეველ საზოგადოების ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარეობისაგანაო. საბჭომ დაადგინა სთხოვოს ბ-ნ თამამშოვს, რომ იგი კვლავ დარჩეს ამ თანამდებობაზე. შემდეგ საბჭომ განიხილა სხვა-და-სხვა კერძო თხოვნა ტფილისელებისა, ხოლო ჩვენ იმათ არ ჩამოვთვლით, რადგან მაგდენად საზოგადო მნიშვნელობა არა აქვთ.

## წერილი რედაქციის მიმართ

გარდა იმ შემოწირულებათა, რომელიც უკვე იყო მოხსენებული თავის დროზე „ივერიაში“ (1,344 მან. და 55 კაპ.), ტაძრის განახლების კომიტეტს მოუვიდა კიდევ შემდეგი შემოწირულებანი: შემოსწირა თავ. ვასილ გიორგის ძე მაჩაბელმა—5 მან., თ. ივანე გიორგის ძე მაჩაბელმა—3 მან., იოსებ მელიქიშვილმა—1 მან., თ. ალ. ჩოლაყაშვილმა—2 მან. სოფ. ცაგერიდგან მივიღეთ თ. ქაიხოსრო გელოვანის თაოსნობით შეკრებილი—18 მან. ამ ფულიდამ შემოსწირეს დეკანოზმა ლავრენტი ნემსაძემ—1 მან., დიმ. აბაშიძემ—1 მან., ვალერიან კობერიძემ—1 მან., იოსებ თაყაიშვილმა—3 მან., სიმონ აფალიანმა—1 მან., აზ. თომა ბექანის ძე ახვლედიანმა—3 მან., თ. ერმალო გელოვანმა—1 მან., კნ. დესპინა გელოვანისამ—1 მან., თავ. ქაიხოსრო გელოვანმა—5 მან. დუშეთიდგან მივიღეთ ბ-ნ გ. გაბაშვილის თაოსნობით შეკრებილი 12 მან. შემოსწირეს: ივანე ანტონის ძე დუმბაძემ—3 მან., გაბაშვილმა 3 მან., ივანე ივანეს ძე ოქშა ჩეხოვსკიმ—2 მან., ი. ჩიქოვანმა 1 მან., კ. მერ—მა 1 მან., №-მა—1 მან., №—მა 40 კაპ., გ. პონიძემ 20 კაპ., მიტო გაბაშვილმა 20 კაპ., ლევანმა 20 კაპ. ფოთიდგან მივიღეთ დავ. გრიგოლიას თაოსნობით შეკრებილი—4 მან., შემოსწირეს: ქ-ნმა რახაილა შაშიძისამ—1 მან., მარიამ გრიგოლიასამ 1 მან., დავით გრიგოლიამ 2 მან. პეტერბურგიდამ სახელმწიფო კონტროლიორისაგან 5 მან., ციმბირის ეპისკოპოზ ყოვლად სამღვდელო ვარლონოვისაგან 6 მან., ქ. რომნის ბლაღ. მღვდელ დანიელ იტალინსკისაგან 5 მან., სუხუმის ახალ ათონის მონასტრის არხიმანდ. იერონისაგან 8 მან. ქ. მოჟაისკის ბოქაულისაგან შეკრებილი შემოწირულება 7 მან. და 15 კაპ. ქ. ლეპსინის მღვ. იოანე ზნამენსკისაგან 5 მან., ქ. ბრონიცის ბოქაულისაგან 7 მან. და 30 კაპ. ქ. ეგრეის მართველის კურკოვსკისაგან 4 მან. და 55 კაპ. ქ. თემირხანშურიდგან 28 მან. და 28 კაპ. დაბა ცხინვალიდგან ქ-ნ ეკატერინე სახიო მურადაშვილის მეუღლემ 2 მან. წინანდელ შემოწირულება—1344 მან. და 55 კაპ. და ახლანდელი—123 მან. 28 კაპ. შეადგენს—1467 მან. და 83 კაპ. გამგე კომიტეტი ნიქოზის ტაძრის განახლებისა და შეკეთებისა უგულითადესს მადლობას უძღვნის შემომწირველთ

სოფ. ზემო-ნიქოზის ტაძრის მღვდელი
იოანე დავითაშვილი

16 ღვინობისთვე 1889 წ.
სოფ. ზემო-ნიქოზი

# უცხოეთი

ავსტრი-ვენგრია. დაიწყო თუ არა მოქმედება ბოჰემიის სეიმმა, მლადო-ჩეხებმა წარადგინეს პროექტი ადრესისა, რომლის შინაარსიც ის არის, რომ იმპერატორი ფრანც-იოსები დაგვირგვინდეს პრაგაში ჩეხიის მეფეთა გვირგვინითაო. ამ ადრესმა სტარო-ჩეხები დიდს გაჭირებაში ჩააგდო. თუ იტყოდნენ რასმე ამ ადრესის წინააღმდეგ, ერს მოიმდურებდნენ, არ იტყოდნენ რასმე-და, მთავრობა ანუ სამინისტრო ტააფესი გაწყრებოდა და თვით იმპერატორსაც არ იამებოდა ასეთი საქციელი სტარო-ჩეხებისა, რომელს დასსაც ეკუთვნის მთელი თავად-აზნაურობა ბოჰემიისა, ეს დიდად ერთგული ნაწილი ავსტრიის ტახტისა და იმპერატორისა. სტარო-ჩეხების მოთავემ დოქტორმა რიგერმა ამ გაჭირებას დიდის ოსტატობით დააღწია თავი: მან გამოაცხადა, რომ მაგ ადრესის საწინააღმდეგო არა ითქმისრა, თანაუგრძნობ კიდეც და პრინციპით მეც მაგ აზრს ვადგევარ, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა კომისიისთვის გადაგვეცა მაგ ადრესის პროექტი დაწვრილებით განსახილველადაო. ამაზე რიგერი მასხარად აიგდეს ავსტრიელმა და გერმანელმა გაზეთებმა: რიგერი შეაშინეს მლადო-ჩეხებმა, თორემ როგორ იტყოდა, თანაუგრძნობ ყმაწვილურს პროექტს მლადო-ჩეხებისასო. რიგერის დასი ბევრად მეტია მლადო-ჩეხებისაზეო და მაინც ისე შეაშინეს მლადო-ჩეხებმა, რომ ადგა და დაუთმო სუსტს დასსაო. ასე ამბობენ ავსტრიელი გაზეთები, მაგრამ თვით რიგერი-კი და გამგებელი ბოჰემიისა გრაფი ტუნი ძალიან კმაყოფილნი არიან, რომ ასე გათავდა საქმე. გრაფი ტუნი, ახალი ნამესტნიკი ბოჰემიისა, მართალია, ჩეხურად ვერა ლაპარაკობს, მაგრამ გულით ჩეხია და თანაუგრძნობს ჩეხიის სურვილს თვით-მყოფელობა-მართველობისას. ხოლო ამ თანაგრძნობას ვერ გამოიჩენს მეტად ცხადად და აშკარად, მით უმეტეს, რომ ჯერ მარტო მისმა ნამესტნიკად დანიშვნამ დიდი ალიაქოთი და ყაყანი ასტეხა ავსტრიელ გერმანელებში. გრაფმა ტუნმა, ან რიგერმა რომ მხარი მისცენ მლადო-ჩეხებს და ამათსავით მოითხოვონ დაგვირგვინება იმპერატორისა ჩეხიის გვირგვინით, შეიძლება ამით დიდად აზარალონ საეროვნო საქმე ჩეხიისა. ამიტომ რიგერმა არჩია ისე მოქცეულიყო სეიმის პირველს კრებაზე ადრესის შესახებ, რომ არც მწვადი დაეწვა და არც შამფური. არც ერს აფიქრებინა, რომ ვითომ წინააღმდეგი ვარ თქვენის უკეთესის სურვილისაო, არც მთავრობა მოიმდურა ტააფესი, რომლისთვისაც ისე საპირონი არიან სტარო-ჩეხები რეიხსრატში, და არც გრაფი ტუნი ჩააგდო გაჭირებაში, არ მისცა პირში მთავრობას. გაზ. „Temps“-ი ამბობს, რომ რიგერის საქციელი სწორედ მეტად ოსტატური საქციელიაო.

## ქორწინება და განქორწინება ამერიკაში.

წერილები დე-ვარინისა

(შემდეგი *)

მწერალი ქალები უფრო მეტს ამბობენ: „ორში ერთი უნდა ამოირჩიოთო, სწერს მის ფრანკლინ სტერტონი: ან უმანკოდ ქალი და ან მწერალი. თუ მწერალმა მკითხველს ისეთი დაუხატა ქვეყანა, როგორსაცა ჰხედავს, ჰკიცხავენ და უსაყვედურებენ, რომ ჰბღალავს სიფაქიზეს ამერიკელ ქალისასაო; თუ ისეთი ასწერა, როგორიც სასურველია, მაშინ ტყუილსა და სიცრუესა სწერს. რასაკვირველია, უმანკოდ ქალს უყურადღებოდ ვერ დასტოვებს მწერალი, მაგრამ იმისი გაწრთვნა და აღზრდა დედის, მშობლის საქმე და მოვალეობაა და არა მწერლისა. მწერალი ვალდებულია სიმართლე აღწეროს, სინამდვილეს არაფრით უღალატოს, და ამის მეტს სხვას აღარას მიჰხედოს. თითონ იმაზედ უნდა იყოს დამოკიდებული და თუ მოისურვა, შეუძლიან ისე სწეროს, რომ ზნეობრივი სიფაქიზე უმანკოდ ქალს არაფრით შეუბღალოს“. „ერთი და ერთი მოგვაშორეთ თავიდგან უმანკოდ ქალიო, ტლანქად სწერს იულიან გოტორნი: ან თუ არა-და, ყური გვიგდოს და ჭეშმარიტების მოსმენას მიეჩვიოს. იმისი მფარველები დარწმუნებით გაიძახიან, რომ მაგ გვარის საქციელით უმანკოდ ქალს წიგნსა და წიგნის კითხვას მოაძულებთო. მე-კი ჩემდა თავად დარწმუნებული ვარ, რომ კითხვას სულაც არ მოიძულებენ და ჩვენის წერილებით არა დაუშავდებათ-რაო“.

მერე კანონები უნდა გავამტყუნოთ რითიმე და რაშიმე? როგორც ზემოდ ვნახეთ, არც კანონი, არც ზნე და ჩვეულება თავზედ ხელს არ უსვამს ქალის მომტყუებელს და შემაცდენელს, და შეურაცხებულს ოჯახსა და მოსამართლეებს შუა ჩავარდნილი დონ-ჟუანი ცუდს მდგომარეობაშია შეერთებულს შტატებში, განსაკუთრებით იმ მოსამართლეებს შუა, რომელნიც ყოველთვის მზად არიან უშველებელი ჯარიმა დაადონ უმანკოდ კაცს ქალის სასარგებლოდ.

ამას გარდა ამერიკელი ქალი ცხოვრებაში გამოწვრთნილია და ადვილად არავის გაეტაცებინება. მაშასადამე, ქალის სისუსტე, კაცის სითავხედე, ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთობა და თეატრი აქ არაფერს შუაშია. ყველა ამ მიზეზმა სხვა ქვეყნებში, მართალია, ქორწინების პატივისცემა შეასუსტა, მაგრამ შეერთებულს შტატებში-კი არავითარი გავლენა არა ჰქონია. მაშ რას უნდა მიეწეროს? ვითომ სარწმუნოებრივის გრძნობის დაცემა იყოს მიზეზი? ის როგორ იქნება, როცა ამერიკაში სხვაზედ მეტად ძლიერია ეს გრძნობა, არაფრით შესუსტებულა, ინდიფერენტიზმი იმათში აღკრძალულია, ატეიზმი მოდად არ არის, საერთოდ ყველა რჯულის შეშვნევას სკეპტიციზმი არ შეუქმნია. იმ მიზეზით, რომ ირლანდიელნი მეტად ბევრნი არიან, კათოლიციზმს ბევრი მიმდევარი და თაყვანის-მცემელი ჰყავს, პროტესტანტიზმს დიდი ადგილი უჭირავს კერძო და საერო ცხოვრებაში. არც აქ იფარება, მაშასადამე, ბოროტი. მაშ სად უნდა ჰქონდეს სათავე? ჩვენის აზრით, ყველას სათავე და მიზეზი ის არის, რომ ქორწინებისა და განქორწინების შესახებ მეტად ბევრი კანონია დადგენილი. ყველა შტატს თავისი კანონი აქვს ამის შესახებ. ყოველმა ცალკე შტატმა, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, თავისი კანონი გამოსცა ქორწინებისა, და, თუმცა საგანი ერთი ჰქონდათ, კანონები-კი სულ სხვა-და-სხვა გამოუვიდათ. ყველგან ამ კანონს სარწმუნოება და ზნეობა დაუდეს და ისე დომხალივით არეული რაღაც რამ გამოვიდა, რომ ბევრს ცოლსა და ქმარს ერთმანეთს შეუძლიანთ დაეკითხონ: «ცოლი კანონით გვყავს შერთული, ცოლი ხარ თუ ხასა, ქმარი, თუ გური და საყვარელიო?» მრავალ სხვა-და-სხვა გვარ კანონის გამო აი როგორ აირ-დაირია საქმე: რადგან ქორწინებისა და განქორწინების კანონი ყოველ შტატში სხვა-და-სხვაა, ამიტომ ნიუ-იორკში შეუღლებულნი კონნექტიკუტში გამოცემულ უწყებით შეიძლება განშორდნენ ერთმანეთს, თუ ქმარი ამ შტატში გადავიდა საცხოვრებლად. ან ხშირად მოხდება, რომ თუ მამაკაცს რამდენისამე დღის განმავლობაში ერთს დედაკაცთან უკანონო კავშირი ჰქონია რომელსამე შტატში, შემდეგ დასთხოვებიათ ამ დედაკაცს და მეორე შეურთავს კანონიერად, ორი-ცოლიანობა დაუბრალებიათ, რადგან იმ შტატში გაუთხოვარ ქალთან ისე უბრალოდ ცხოვრებაც კანონიერ კავშირად ითვლება თურმე. პირველს შემთხვევაში ცოლს შეუძლიან ქმარს ნიუ-იორკში განქორწინოს, ქმარი-კი კონნექტიკუტის კანონით არის განქორწინებული, ასე რომ შეუძლიან იქ კვლავ შეირთოს ცოლი, კვლავ განექორწინოს ამ ცოლს სხვა შტატში, და მესამედ ახლა იქ შეირთოს ცოლი. ასე რომ იმის მიხედვით რომელს შტატშიაც იქნება, იქაურის ცოლის კანონიერ ქმრად ჩაითვლება, იმ ცოლისა, რომელთანაც სხვა შტატის კანონით განქორწინებულია.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 225.

# წვრილი ამბები

სპარსეთის შაჰს ლონდონის გაზეთ „Times“-ის პარიჟელ კორესპონდენტ ბლოვიცისთვის მიუბოძებია მზისა და ლომის ორდენი პირველის ხარისხისა.

— ახალ სტატისტიკურ ცნობებიდგან სჩანს, რომ საბერძნეთში სულ 5,600 სასულიერო წოდების კაცია თურმე. რადგან მკვიდრთა რიცხვი ორ მილიონს არ აღემატება, ყოველ 400 მცხოვრებზედ ერთი სასულიერო წოდების კაცი მოდის. ამისთანა ამბავი არსად ევროპაში არ არის თურმე.

—საბრალო სიდედრნი, რომელნიც ყველგან სძულთ, ყველგან ჰმტრობენ, ასე წარმოიდგინეთ, სან-ფრანცისკოშიაც-კი ამეუბულები ჰყოლიათ! ერთი იქაური გაზეთი აი რასა სწერს სხვათა შორის: მთავრობას იძულებული შეიქმნა ახალი კანონი გამოეცა, რომლის ძალითაც იმ ცოლ-ქმართ, რომელნიც დედამთილთან სცხოვრობენ, 600 მან. უნდა გადაიხადონ, ხოლო რომელნიც სიდედრთან—900 მანეთი! თუ ვინიცობაა ისე მოხდა, რომ ერთს ოჯახში სცხოვრობს დედამთილიცა და სიდედრიც, მაშინ გადასახადი 6,000 მანეთამდე ადის. ამას გარდა გადასახადიცაა დანიშნული ბიძაშვილებზე და სხვა ნათესავებზედაც. ახალმა კანონმაო, ამბობს ოფიციალური გაზეთი: „უნდა დაიცვას და დაამყაროს ცოლ-ქმართა ოჯახში მშვიდობიანობა და წესი და რიგიო“. ამ კანონის გამოწვევ მიზეზად იმას ასახელებს ეს გაზეთი, რომ, როგორც სტატისტიკო ცნობებიდგან სჩანს, სიდედრია უმეტესად ბრალეული, თუ ცოლ-ქმარნი ერთმანეთს შორდებიან და ან თუ ერთი მათგანი თავს იკლავსო.

— ლონდონის გაზეთები შემდეგ სახარებულ ქურდობის ამბავს მოგვითხრობენ: ლედი კ—ნმა, ლონდონის ერთს საარისტოკრატო უბანში მცხოვრებელმა, თავისს სახლში საღამოს ჩაიზედ მიიპატიჟა თურმე ორი ნაცნობი ქალი, გრაფის მეუღლე ს—ნი და ლედი პ—რი. იმ დროს, როცა ეს ორი ქალი გადმოვიდა ეტლიდგან და ის იყო ზარა უნდა ჩამოეკრათ, ამათთანვე მივიდა თურმე ერთი რიგიანად ჩაცმული უმაწვილი კაცი, თავი დაუკრა ქალებს და იმათთან ერთად შევიდა სახლში. ხელი ჩამოართვა ლედი კ—ნს, რომელმაც ამ ქალების ნაცნობად მიიღო თურმე, და გააბა ბაასი ქალებთან. ცოტა ხანს შემდეგ სტუმრებს ჩაი შემოუტანეს ვერცხლის ჭურჭლით. რამდენისამე წუთის შემდეგ დიასახლისი რაღისთვისაც გაიხმეს ოთახიდგან. უმაწვილმა კაცმა ამ შემთხვევით ისარგებლა, მიუბრუნდა ქალებს, უთხრა, რომ „დედაჩემს ახლა ერთი ოინი უნდა მოვუხერხოვო“, მივიდა სტოლთან, ჯიბეში ჩაიწყო ჩაის ვერცხლის იარაღი და გაპარა თურმე ოთახიდგან. როცა დიასახლისი დაბრუნდა და იკითხა, ეს ვერცხლეული რა იქნაო, სტუმრად მოსულმა ქალებმა უამბეს, რომ თქვენმა დისწულმა გიხუმრათო. წარმოიდგინეთ სამივეს გაოცება, როცა გამოაშკარავდა, რომ უმაწვილი კაცი არც ერთის ნაცნობი არა ყოფილა, პირ-იქით, ვერცხლეული მოუპარავს და ისე თავ-ხედად წასულა. აქამდე ეძებენ თურმე ამ უმაწვილს კაცს და ჯერაც კვალი ვერ მიუგნიათ.

# დეპეშა

23 ოქტომბერი

პეტერბურგი. აქ მოვიდა ცნობილი მოღვაწე ბოლგარიისა დრაგან ცანკოვი.

სტამბოლი. შაბათს საღამოს ილდიზ-კიოსკში გერმანიის იმპერატორისა და იმპერატრიცის პატივსაცემლად გამართული იყო სადარბაზო სადილი, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი და ამალა გერმანიისა და ოსმალეთისა. სადილს წინად იმპერატორმა და იმპერატრიცამ ეტლით გაისეირნეს ქალაქში. ოსმალეთის მთავრობამ და გერმანიის კოლონიამ ყოველივე ღონისძიება იხმარა, რომ დიდებულს სტუმრებს რაც შეიძლება კარგად დახვდნენ. ხალხი მრავალი იკრიბება ქუჩებში.

შაბათს ხონთქარი ელოდდა იმპერატორს და როცა სტუმარი მოახლოვდა, გამოვიდა აივანზე ბოსფორისაკენ და მიესალმა იმპერატორსა და იმპერატრიცას. მუსიკამ დაუკრა პრუსიის საგალობელი. ხონთქარმა გაუწოდა ხელი იმპერატრიცას და იმპერატორ ვილჰელმთან ერთად ამალიანურთ გაემართა სეფე-დარბაზისაკენ, სადაც იმპერატორს წარუდგინეს ოსმალეთის დიდებულნი და მოხელენი. შემდეგ მათნი უდიდებულესობანი ეტლით წაბრძანდნენ ილდიზ-კიოსკში. იქ ჯარებმა გაიარეს სტუმართ თვალ-

წინ. იმპერატორმა მოიწონა ჯარები, მეტადრე არტილერია.

კვირას იმპერატორი და იმპერატრიცა იყვნენ პროტესტანტების ეკკლესიაში პერას. აქ იმპერატორმა მიიღო დეპუტაცია გერმანიის კოლონიისაგან.

სოფია. აქ მოვიდა მოგზაურობიდგან დაბრუნებული პრინცი კობურგისა.

პეტერბურგის ბირჟა, 20 ოქტომბ.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდული |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 64 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 152¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | 1 11 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 245 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 233 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდრო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩვენ (1889) წელიწადია ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14,

ამის ქრონიკონი—უპა 481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4,

ამისი ქრონიკონი მე 45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

ოქტომბერი 31 დღით არის

25 დღე ოთხშაბათი. წმ. მოწ. მარკიანესი და მარტვირისა. კათოლ. წმ. ქრისტინასი. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-13 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1307 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—43. ტფილისში მზე ამოდის 6—38, ჩადის 4—49. მთვარე 14 დღისაა.

26 დღე ხუთშაბათი. წმ. მოწ. დიმიტრისა. კათოლ. წმ. ევარისტასი. სომეხ. წმ. ხარიტონისა და სხ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—39, ჩადის 4—48. მთვარე 15 დღისაა.

27 დღე პარასკევი. წმ. მოწ. ნესტორისა. კათოლ. წმ. საბინასი. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-15 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1307 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—42, ჩადის 4—47. მთვარე 16 დღისაა.

28 დღე შაბათი. წმ. მღვდ.-მოწ. ნეოფიტე ურბნისის ეპისკოპოსისა. კათოლ. მოწ. სიმონ, იუდა და თადეოზისა. სომეხ. წმ. თორმეტთა ზერთა. მაჰმად. მე-16 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1307 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—41, ჩადის 4—40. მთვარე 17 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3½ | |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარ. | 5 | „ |
| „ „ 2 „ | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა. . . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . . . | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . . . . . | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | „ |
| ღორის ხორცი . . . . . | „ | „ |
| „ 2 „ „ | „ | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდაი და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი


## ტფილისის სასულიერო სემინარიისაგან.

ტფილისის სასულიერო სემინარიის მმართველობა აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 26 ოქტომბერს, დილის 11 საათიდამ ნაშუადღევის 1 საათამდე სემინარიაში გაიცემა იჯარით სემინარიისათვის საჭირო საჭმელ-სასმელი და სანოვაგე 1890 წლის განმავლობაში. თუ ზემოხსენებულს დღეს არ მოხდა ვაჭრობა, კანონისამებრ, სამს დღეს უკან იქნება ხელ მეორედ ვაჭრობა, ესე იგი ორშაბათს, 30 ოქტომბერს, დილის 11 საათიდამ ნაშუადღევის 1 საათამდე.

ამ საქმის შესახებ ყველაფრის გაგება და პირობების შეტყობა შეიძლება სემინარიის მართველობაში ყოველ დღე დილის 12 საათიდამ 2 საათამდე. (2—1)

ახლად გამართული ფოტოგრაფია

ა. ს. როინაშვილისა

მოთავსებულია ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში.

მიიღებს ყოველ გვარს ფოტოგრაფიულს საქმეებს იაფისა და ზომიერის ფასით.

იქვე ისყიდება სხვა-და-სხვა გვარი შესანიშნავი სურათები საქართველოსი და მთელის კავკასიისა.

(20—15)

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომაურისა. . . | „ | 15 |
| Я. Гогебашвили. Руководство для учителей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванію по книгѣ того-же автора „Русское Слово“. . | „ | 50 |

## წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| გაყა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა . . | „ | 30 |
| პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 10 |
| გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურბნელისა, იმავ საზოგადოების გამოცემა . . | „ | 20 |
| ყდით . . . . . . . | „ | 70 |
| ჩანგი, კრებული ლექსთა და სხვა . . . . . . | „ | 70 |
| ანუკა ბატონიშვილი, რჩეულოვისა. . . . | „ | 20 |
| ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა, გამოცემა «სალმრთო წიგნთ-საკითხავისა» . . . . . . | „ | 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . | „ | 20 |
| გენათის მონასტერი, გამოც. დამბაშიძისა . . . . . | „ | 25 |
| ლოცვანი, დამბაშიძისა . . | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | ,, | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . | 1 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. . . | „ | 20 |
| ვაზის ობი . . . . . . | „ | 10 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . | „ | 45 |
| ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 75 |
| დედა-ენა, მისივე, . . . . | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . | ,, | 50 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა . . . . | „ | 50 |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. დამბაშიძისა. . . . . . . | „ | 25 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | „ | 40 |
| დედაკაცის ხვედრი ნამბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ . | „ | 15 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | ,, | 50 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ მგ. გაბაშვილისა . . | „ | 10 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საქართველოს მეფეებზე, ბულისაშვილისა . . . . . | „ | 15 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| თამარიანი, გუგუნავასი . . | „ | 50 |
| ლექსიკონი, ჩუბინაშვილისა II ნაწილი . . . . . | 3 | „ |
| დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწოვარ ყმაწვილსა, გადმოკეთებული ივ. კატიტაძის მიერ . | „ | 5 |
| თამარიანი, გალექსილი გუგუნავასი . . . . . . . . | „ | 50 |
| პატარა მოამბე, ა. მირიანაშვილისა. . . . . | „ | 10 |
| გრიგოლ ორბელიანის ლექსები . . . . . . . | „ | 50 |
| ნ. ბარათაშვილის ლექსები | „ | 40 |
| სამის თავ-გადასავალი, მოთსამი კომედია, ა. ცაგარლისა . | „ | 60 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | ,, | 30 |
| რუსულ-ქართული ლექსიკონი, მისივე. . . . | 3 | 60 |
| სამ გვარი სიყვარული, აკაკისა | „ | 30 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა : . . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . | „ | 30 |
| თამარ-ცბიერი, აკაკისა . . | „ | 50 |
| სამართლის წიგნი კახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | ,, | 15 |

## ლაზარევ საალმოსავლეთო ენების ინსტიტუტისაგან.

ლაზარევ საალმოსავლეთო ენების ინსტიტუტის უმაღლესს სპეციალურს კლასებში განთავისუფლდა ქართულის ენის კათედრა, რადგან ქართულის ენის დოცენტმა სერებრიაკოვმა თავი დაანება სამსახურს. ამ საგნის მსურველთა და სპეციალისტთ, თუ სურთ დაიჭირონ ეს თავისუფალი ადგილი, ვსთხოვთ თავისი სურვილი წერილით განუცხადონ ლაზარევ საალმოსავლეთო ენების ინსტიტუტის დირექტორს გ. ი. ქანანოვს რაც შეიძლება ჩქარა, ხოლო არა უგვიანეს 1890 წლის პირველ იანვრისა. ზემოხსენებულს კათედრაზედ შემომსვლელთ მისაღებად შემდეგი პირობებია საჭირო: ან 1) თავისი სამეცნიერო თხზულება უნდა წარმოადგინოს ამ საგნის შესახებ და იმითი დაამტკიცოს, რომ საფუძვლიანი ცოდნა აქვს ქართულის ენისა და ლიტერატურისა და ან 2) სამეცნიერო ხარისხი უნდა ჰქონდეს მიბოძებული რუსეთის, ან სხვა ქვეყნის უნივერსიტეტისაგან ქართულის ენის შესახებ დაწერილ თხზულებისათვის. ვინც ამ მხრით დააკმაყოფილებს მთავრობას ინსტიტუტისას, წელიწადში 1200 მან. ჯამაგირი მიეცემა და მე-VII კლასის ხარისხი ექნება სამსახურში. უფლება აქვთ პენსიაც-კი მოითხოვონ, თუ კანონის მიერ დადგენილი ვადა იმსახურეს. ხოლო თუ ამისთანა კაცი არ აღმოჩნდა, შეუძლიანთ ქართულის ენის მასწავლებლობა იმათაც იკისრონ, რომელთაც შესანიშნავი სამეცნიერო თხზულება არა აქვთ-რა დაწერილი, მაგრამ დაამტკიცებენ-კი თავის საფუძვლიანს ცოდნას ქართულის ენისას. თუ ამ გვარი კაცი იქმნა მიღებული, ჯამაგირი 1200 მანეთზედ უფრო ნაკლები დაენიშნება, ინსტიტუტის საბჭოს გარდაწყვეტილებისამებრ.

(3—2)

## კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ,

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

## დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მიჰმართონ კანცელარიას: Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 112.


Доз. ценз. Тифлисъ 24-го Октября, 1889 г. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи, пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.